განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
„სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
ილიას სახელმწიფო უნივერსტეტი

შეფასების თარიღი: 10 ივლისი, 2019 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 9 აგვისტო, 2019 წელი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი, 0732.
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	252
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ბალავაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე წაქაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მეშველიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)"-ის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი. პროგრამა ფოკუსირებულია სამოქალაქო ინჟინერიის ისეთ სფეროებზე, როგორიცაა წყლის რესურსების ინჟინერია, სტრუქტურული და გეოტექნიკური ინჟინერია და ტრანსპორტის ინჟინერია.ამჟამად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით საბაკალავრო პროგრამას სან დიეგოს უნივერსიტეტთან (SDSU) ერთად, საქართველოში ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტის ჩარჩოს ფარგლებში, STEM განათლებაში. ასევე უნივერსიტეტი ემზადება წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის ABET აკრედიტაციისთვის, საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით.

პროგრამის მიზნები მოიცავს უმაღლესი განათლების პირველი დონის შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას სამოქალაქო ინჟინერიაში, კერძოდ, ისეთი პროფესიონალის გამოშვებას რომელთაც ექნებათ საჭირო უნარები და შესაბამისი ტექნოლოგიების ცოდნა რათა უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს სწრაფად ცვალებად გარემოში და იყვნენ მოთხოვნადი ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე. გარდა ამისა, სამოქალაქო ინჟინერიის პროფესიაში გამოავლენენ ლიდერობისთვის საჭირო უნარებს, შეძლებენ გუნდურ მუშაობას და ასევე შეძლებენ ჩაერთონ უწყვეტ განათლებაში ინჟინერიის დარგში.

„სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)" პროგრამა 8 სემესტრიანია და მოიცავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ 252 ECTS კრედიტს, რომლებიც გადანაწილებულია **ზოგადი განათლება** - **56** კრედიტი (მათ შორის , ბიზნეს ადმინისტრირებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების არჩევითი კურსები - 24 კრედიტი ; მინიმუმ 6 კრედიტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან და 6 კრედიტი ბიზნეს ადმინისტრირებიდან), **მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია - 60** კრედიტი; და **ძირითადი სპეციალობა - 136** კრედიტი (მათ შორის, სავალდებულო კურსები - 108 კრედიტი, სავალდებული/არჩევითი კურსები- 24 კრედიტი და სტაჟირება - 4 კრედიტი.)

პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორის, მიხეილ სონდერსი ხელმძღვანელობითა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის ბრძანების #519, 24/06/2019 თანახმად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი შემადგენლობით: ვახტანგ ბალავაძე, ალექსანდრე წაქაძე, გიორგი მეშველიანი , რომელმაც 2019 წლის 10 ივლისი, აღნიშნული უნივერსიტეტში განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა და თანმხლები დოკუმენტაცია: სილაბუსები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორმატიული აქტები, მათ შორის, „ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა“, პერსონალის მართვის და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმნეტაცია, ხელშეკრულებები ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან, დამსაქმებლებთან, პერსონალის CV და პირადი საქმეები და სხვ.

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა ეფუძნებოდა და მიზნად ისახადა პროგრამის შესაბამისობის დადგენას აკრედიტაციის 5 სტანდარტთან მიმართებაში: 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 2. სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა. 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა ექსპერტთა მიერ დღის წესრიგით დაგეგმილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, ბიბლიოთეკის, აუდიტორიების, ლაბორატორიის და კაბინეტების დეტალური დათვალიერება და გაიმართა დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები შეხვედრები.

აღსანიშნავია, რომ ყველა მონაწილე იყო კოოპერაციული, გამოხატავდნენ მზაობას დისკუსიისა და საჭირბოროტო საკითხებზე ღია მსჯელობისთვის. ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია მოწოდებულ იქნა ვიზიტის დასრულებამდე, რისთვისაც ექპერტთა ჯგუფი დიდ მადლობას უხდის თოთოეულ მონაწილეს.

შეხვედრების განმავლობაში ექსპერტებმა და უნივერსიტეტის პერსონალმა განიხილეს პროგრამა, მისი შემადგენელი ნაწილები, სილაბუსები და დამხმარე დოკუმენტაცია, დაისვა კითხვები და გამოითქვა მოსაზრებები როგორც ექსპერტთა, ასევე უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან. ვიზიტის ბოლოს ექპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგნელებს ძირითადი მიგნებები გააცნეს და ყურადღება გაამახვილეს პროგრამის რამდენიმე ძლიერ და სუსტ მხარეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების ანალიზი მნიშვნელოვანწილად დაეხმარა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ საბოლოო დასკვნის პროექტის მომზადებას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)"-ის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი:

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   1.1. პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
   1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.3. სასწავლო კურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   2.6. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - N/A
4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   4.1. ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   4.2. აკადემიური, სამეცნიერი და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   4.3. მატერიალური რესურსი - პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინასური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   5.1. შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   5.2. გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
   5.3. პროგრამის მონოტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

„მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია“ - ში შემავალი სასწავლო კურსები მათი შიინარსის გათვალისწინებით გადალაგდეს ზოგადი განათლების ან ძირითადი სპეციალობის სასწავლო ბლოკებში

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“ შედგენილია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით: საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; განათლების და მეცნიერების სტრატეგია; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, ასევე პროგრამა ორიენტირებულია: საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნებზე (ABET) და საერთაშორისოდ აღიარებულ საბაკალავრო პროგრამასთან (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსტეტის (SDSU) სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა) შესაბამისობაზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“ -ის საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი 3 მიზანი შეესაბამება და ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციას, რაც უნდა გამოუმუშავდეს სტუდენტს საბაკალვრო პროგრამის გავლის შემდეგ, კერძოდ, პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს სტუდენტები სამოქალაქო ინჟინერიის ისეთ დარგებში, როგორიცაა წყლის, ტრანსპორტის, სტრუქტურული და გეოტექნიკური ინჟინერია. პროგრამა ისეა აგებული, რომ უზრუნველყოს პრაქტიკული და თეორიული ცოდნისა და უნარების შეკავშირება სამოქალაქო

ინჟინერიის სფეროში. ამასთანავე, პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ეფექტური ზეპირი და წერითი კომუნიკაცია უცხო ენის გამოყენებით, რაც სტუდენტებს განუვითარებს მულტიკულტურულ ცნობიერებას

- „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“-ის პროგრამის მიზანი მჭიდრო კავშირშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, რაც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც ორიენტირებულია ისეთი მაღალკვალიფიციური და კოკნურენტუნარიანი პროფესიონალის ჩამოყალიბებაზე, რომელთაც ექნებათ საჭირო უნარები და შესაბამისი ტექნოლოგიების ცოდნა რათა უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს სწრაფად ცვალებად გარემოში და იყვნენ მოთხოვნადი ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე.

- „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“ პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია მასში ჩართული პირებისათვის იმდენად, რამდენადაც პროგრამის მიზნების შემუშავებისას ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები კერძოდ, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით გათვალისწინებული იქნა „ სამოქალაქო ინჟინერიის საგანამანათლებლო პროგრამის მრჩეველთა საბჭოს“ რჩევები და რეკომენდაციები, მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტებულია დარგის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების პროფესიონალებით. ასევე გათვალისწინებული იქნა მომიჯნავე მიმართულებების კურსდამთავრებულთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგად მიღებული ინფორმაცია და საქართველოში მოქმედი სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU) სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამის სტუდენტების მოსაზრებები პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და სწავლის შედეგების შესახებ. ინტერვიუს პროცესში ფაკულტეტის დეკანის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან განცხადებული იქნა რომ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, პროგრამასთან დაკავშრებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები, სემესტრული გეგმა და ა.შ.) განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსტეტის მისია http://iliauni.edu.ge/en/iliauni/mission;
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა;
- მრჩეველთა საბჭოს ფოკუს ჯგუფის ანგარიში;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებუ ლების ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- საერთაშორისო ექსპერტებისა (ABET) და პარტნიორების (SDSU) უკუკავშირისა და რეკომენდაციების ამსახველი ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოადგენს ABET-ის (Criteria for Accrediting Engineering Programs, 2019 – 2020, (General Criteria for Baccalaureate Level Programs), Criterion 3. Student Outcomes) საკრედიტაციო სტადარტებით დადგენილ სწავლის შედეგებს, საინჟინრო პროგრამებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგებში ცხადად არის განსაზღვრული დარგისთვის საჭირო ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობები და ავტონომიურობა, მათ შორის უწყვეტი განათლების პრინციპები. პროგრამის შედეგები ასევე შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს. პროგრამის მიზნები და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური.

- მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს შედეებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამაში ჩამოყალიბებული 7 სწავლის შედეგი სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია სქემა, რომელიც ასახავს პროგრამის მიზნების შესაბამისობას პროგრამის სწავლისშედეგებთან. კერძოდ პროგრამის პირველი საგანმანათლებლო მიზანი მოიცავს პროგრამის სწავლის 1-ლი, მე-2, მე-5 და მე-6 შედეგს; პროგრამის მეორე საგანმანათლებლო მიზანი მოიცავს პროგრამის სწავლის მე-3, მე-4 და მე-5 შედეგს, ხოლო პროგრამის საგანმანათლებლო მიზანი 3 მოიცავს პროგრამის სწავლის მე-7 შედეგს.

- პროგრამის პერსონალის მიერ შედგენილია შედეგების რუქა, თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია შესაბამის ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები, შემუშავებულია შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც ჩაშლილია შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზები. პირდაპირი შეფასება გულისხმობს შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, რომლებიც თავის მხრივ, მოიცავს ზეპირი და წერილობითი დავალების შესრულებას, ტესტის დაწერას და პრეზენტაციას. რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, პროგრამის პერსონალი იღებს უკუკავშირს დამსაქმებლისგან, სტუდენტისგან და აკადემიური პერსონალისგან გამოკითხვის ან/და ფოკუს-ჯგუფების ჩატარების სახით; შემდგომ ხდება მიღებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, თუმცა, როგორც ინტერვიუზე აღნიშნა პროგრამა ახალია, შესაბამისად პროგრამაში ჩართლი სტუდენტების უკუკავშირის მოპოვება შესაძლებელი გახდება მხოლოდ 2021 წლიდან;

- წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრებით დასტურდება რომ პროგრამის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული პირი - იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან, დამსაქმებლისგან და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- პროგრამის სწავლ ის შედეგების / კომპეტენციების რუკა; სამიზნე ნიშნულები; შეფასების გეგმა;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კვლევის ინსტრუმენტები;
- მრჩეველთა საბჭოს ფოკუს ჯგუფების ანგარიში;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ფოკუს ჯგუფის ანგარიში;
- TSDC ტრენინ მოდული „ პროგრამის შეფასების საფუძვლები “;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები, (ეროვნულ გამოცდებზე მოთხოვნილია მინიმალური კომპეტენციის დონეები: • ინგლისური ენა - 75%+1 • ზოგადი უნარები - 40% +1 • ქართული ენა, • მათემატიკა - 50% +1 ან ფიზიკა 40% +1). ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. ასევე სასწავლო პროგრამაში განსაზღვრულია საერთაშორისო აპლიკანტებისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, აპლიკანტებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც შეესაბამება ევროპის საერთო შეფასების ჩარჩოს B2 დონეს ან მეტს. აგრეთვე საერთაშორისო სტუდენტებმა უნდა გაიარონ წერითი ან ონლაინ ტესტი მათემატიკაში ან ფიზიკაში (ეს ტესტები ჩატარდება უნივერსტეტის მიერ იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია ქართველი სტუდენტებისთვის)

- პროგრამაზე დაშვება სამართლიანია; მასზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ერთიანი ბრძანებით; პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში; საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის პერსონალი მუდმივად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან მთელი ქვეყნის მასშტაბითა და ვებ- გვერდის საშუალებით, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდი : www.iliauni.edu.ge;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის / პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესისა, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ პროცესს. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. პროგრამა ასევე ეყრდნობა უნივერსიტეტში შემუშავებულ საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის სტანდარტს და უნივერსიტეტის მიერ განცხადებულ მისიას. ○ პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მოიცავს 252 კრედიტს და პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი), რაც გადანაწილებულია **ზოგადი განათლება** - **56** კრედიტი (მათ შორის არჩევითი კურსები - 24 კრედიტი), **მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია** - **60** კრედიტი და **ძირითადი სპეციალობა** - **136** კრედიტი კრედიტი (მათ შორის სავალდებულო კურსები - 108 კრედიტი, სავალდებული/არჩევითი კურსები- 24 კრედიტი და სტაჟირება - 4 კრედიტი). პროგრამის კომპონენტები ფორმირებული არის პრინციპით ზოგადიდან კონკრეტულისკენ, რაც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის თანმიმდევრულ სქემას. პროგრამის შინაარსში ასევე გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ მათემატიკაში დადგენილ ტესტს ვერ გაივლიან, ვალდებულნი არიან პირველი სემესტრის განმავლობაში გაიარონ მათემატიკის კურსი „პრეკალკულუსი“. პროგრამის შინაარსი და კომპლექსურობა უზრუნველყოფს საინჟინრო დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომელსაც სურვილისამებრ შეუძლია დარგობრივი მიმართულებით პროფესიულ საქმიანობაში ჩართვა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება, რაც უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურის შესაბამის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. პროგრამა უმეტესად მოიცავს მრავალფეროვან და გამართულ სასწავლო კურსებს, რომელთა მიზნებისა და შედეგების წარმატებულად მიღწევის შემთხვევაში, სტუდენტები ეფექტურად გააგრძელებენ მუშაობას და სწავლას შესაბამის დარგში. აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ცალკე ბლოკად გამოყოფილი „**მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია**“ - ში შემავალი სასწავლო

	კურსები თავის შიინაარსით არიან ან ზოგადი განათლების ან ძირითადი სპეციალობის სასწავლო ბლოკის შემადგენელი ნაწილი, მაგალითად სასწავლო კურსი „ კალკულუსი I “ ანვითარებს ზოგად უნარებს ხოლო “კალკულუსი III“ ორიენტირებულია ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების საჭიროებებზე, შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ ბლოკში შემავალი სასწავლო კურსები მიაკუთვნოთ ან „**ზოგადი განათლება“-ის სასწავლო კურსების ბლოკს** და/ან ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს („**ძირითადი სპეციალობა**). ○ მოწოდებული მასალის ანალიზსა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა მხარე, მრჩეველთა საბჭო, გარე ექსპერტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსამთავრებულები, ადმინისტრაცია. ○ პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. პროგრამის კურიკულუმი და სემესტრული გეგმა, ისევე როგორც მიღების კრიტერიუმები, განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.iliauni.edu.ge, დაინტერესებული მხარეებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საერთაშორისო აპლიკანტებისთვის განთავსდება ვებ- გვერდზე: https://iliauni.edu.ge/en/international და ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ ქსელებში. ამასთან, პროგრამის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განთავსების სხვადასხვა პლატფორმაზე (Times Higher Education, Bachelorstudies, Educations.com, etc.). და გაზიარებული იქნება საგარეო ურთიერთობების სამსახურის კონსულტანტებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სილაბუსები; ○ პროგრამის სემესტრული გეგმა; ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი; ○ ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების , მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; ○ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა / პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების , რეიტინგისა და დამატებით / განმეორებით კურსებზე / კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი; ○ სტუდენტთა და კურსდმთავრებულთა ფოკუს ჯგუფის ანგარიშები; ○ მრჩეველთა საბჭოს შეხვედრის ანგარიში. ○ ინტერვიუს შედეგები	

რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ **„მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია“** - ში შემავალი სასწავლო კურსები მათი შიინარსის გათვალისწინებით გადალაგდეს ზოგადი განათლების ან ძირითადი სპეციალობის სასწავლო ბლოკებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o პროგრამის ძირითადი სპეციალობის- სამოქალაქო ინჟინერის პროფესიულ დონეზე მცოდნე ინჟინერის მოსამზადებელი სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და მიმართულია ისეთი სპეციალისტის მომზადებაზე, რომელიც ამჟღავნებს ინჟინერიის საფუძვლების და დარგის საკვანძო საკითხების შესახებ ცოდნას, ასევე აღჭურვილია ბაკალავრიატის საფეხურისათვის შესაბამისი მინიმალური სამეცნიერო უნარ-ჩვევებით. მოცემული

შედეგების უზრუნველყოფას განაპირობებს დარგობრივი და პროფესიული, ფუნდამენტალური საბუნებისმეტყველო მეცნიერების სასწავლო საგნები და ზოგადი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსით.

- სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები (რომელიც თავის მხრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს), შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და სხვა. პროგრამის შემადგენელი კომპონენტების კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ლოგიკურ ბმაშია ამავე კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, მოცულობა და დატვირთვა განსაზღვრავს კრედიტების რაოდენობას და მიღწევადს ხდის კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. აღსანიშნავია რომ, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლის შედეგების თავში მოცემულია ცხრილი რომელიც ასახავს ურთიერთკავშირს კურსის სასწავლო შედეგებსა და პროგრამის სწავლების შედეგებს შორის (PLOs), ასევე შეფასების თავში სტანდარტული ინფორმაცის გარდა მოცემულია შეფასების რუბრიკა. სასწავლო კურსების ამ ფორმით მიბმა პრორამის სწავლის შედეგებთან იძლევა საშუალებას, რეალურად გაზომვადი გახდეს პროგრამით განსაზღვრული უნარები და ცოდნა რომლებსაც დაეუფლება კურსდამთავრებული. შეფასებისას რუბრიკების გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო მკაფიოდ განისაძღვროს თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან სტუდენტები.
- პროგრამა თავისი სტრუქტურით: წინაპირობებით, სწავლების მეთოდებითა და რესურსებით იმგვარადაა ორგანიზებული, რომ შესაძლებელს ხდის სტუდენტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენცია. კომპეტენციების მიღწევა უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული ახალი ლიტერატურითა და სასწავლო რესურსებით, რომლებიც წარმოადგენს სფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ, თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების ამსახველ მასალას.
- პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ბეჭდური და ელექტრული ვერსიებით, ასევე ვიდეო ლექციები. გამოყენებული ლიტერატურა ეფუძნება საინჟინრო სფეროს კლასიკურ თეორიებს და ასახავს დარგის თანამედროვე ტენდეციებს. სილაბუსებში მითითებული

ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა საერთაშორისო აკადემიურ ბაზებზე, ცალკეულ ჟურნალებზე, ელექტრონულ წიგნებზე და ბიბლიოთეკებზე: Science Direct · Scopus · Clarivate Analytiucs · ISI Web of Knowliedge · ProQuest Research Library · ProQuest Dissertations & Theses Global · Taylor & Francis · Pivot - funding connected · Sage · LexisNexis · Ebsco Host · Humanity Source · Political Science Complete · J Stor · J Stor e-books collection · BioOne · Project Muse · Cambridge Journals · Directory of Open Acces Journals · IMF eLibrary · Royal Society Publishing · Britannica Encyclopedia · The New England JOurnal of Medicine · Elgaronline · Project Gutenberg · Journal of Autism and Development Disorders · Hinary და სხვ.

გარდა ამისა ბიბლიოთეკა ასევე სთავაზობს ტრეინინგ კურსებს "სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა" და "საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ". აღნიშული ტრენინგების მიზანია მომხმარებლისთვის გაცნობა იმ რესურსებისა და სერვისების, რომლის გამოყენებასაც ბიბლიოთეკა სთავაზობს მათ სასწავლო და კვლევით პროცესშ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- პროგრამის სემესტრული გეგმა;
- პროგრამის სწავლ ის შედეგების / კომპეტენციების რუკა;
- ურსების შეფასების კითხვარი;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა / პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების , რეიტინგისა და დამატებით / განმეორებით კურსებზე / კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“ პროგრამისათვის, როგორც პროგრამის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, პრიორიტეტულია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია როგორც ცალკეულ კურსებში ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული, პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების შესრულებით, ასევე ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობით. ამასთან, ტექნოლოიების ახალი კორპუსი აღჭურვილია სტრუქტურული, ჰიდრავლიკური და გეოტექნიკური ლაბორატორიებით, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების სწავლის პროცესს სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო შედეგების მიღწევას.

- აღსანიშნავია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი (Senior Design Project) რომლის ხანგრძლივობა ორი სემესტრია და სტაჟირების კომპონენტი, აღნიშნული სასწავლო კურსები ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის, ისე ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით განსაზღვრულ ორგანიზაციებში. ორგანიზაციები ჩართულნი იქნებიან დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტის სრულ სპექტრში: საწყისი ფაზიდან,

სადაც ჯგუფები შეარჩევენ პროექტის იდეას, პროექტის განხორციელებისა და შეფასების ეტაპის ჩათვლით. საკვალიფიკაცი ნაშრომის/პროექტის წარდგენისას, დაცვის კომისიის შემადგენლობაში, გათვალისწინებული იქნება წარმომადგენელი პარტნიორი ორგანიზაციებიდან და/ან სამოქალაქო ინჟინერიის მრჩეველთა საბჭოდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o სილაბუსები; o ურთიერთთანმშრომლობის მემორანდუმები . o მრჩეველთა საბჭოს დებულება; o პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები. o ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემისათვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექციები და სემინარები; • ვერბალური და წერითი მეთოდი; • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; • პროექტები; • დისკუსია/დებატები; • ინდივიდუალური და ჯგუფური (collaborative) მუშაობა; • თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; • გონებრივი იერიში (Brain storming), რეფლექსია; • დემონსტრირების მეთოდი; • ლაბორატორიული მუშაობა; • პრაქტიკული მუშაობა. პროგრამის თითოეულ კურსში რეალიზებული სწავლა/სწვლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურს, სასწავლო კურსების შინაარსსა და სპეციფიკას (მაგ. შესავალი ზოგად ქიმიაში, ფიზიკა I (including Lab), შესავალი მყარი სხეულის მექანიკაში (Including Lab), გამოყენებითი ჰიდრავლიკა (Including lab), გეოტექნიკური ინჟინერია (Including lab) კურსებში ინტეგრირებულია ლაბორატორიული მუშაობა, რაც ხელს უწყობს სასწავლო კურსების სრულფასოვნად ათვისებას. სადაც კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების/ჩვევების გამომუშავებას შემდგომი პროფესიული საქმიანობისთვის მაგ. სამოქალაქო ინჟინერიის კომპიუტერული პროგრამები, კონსტრუქციული გაანგარიშება I, რკინაბეტონის კონსტრუქციების პროექტირება კურსებში ინტეგრირებულია პრაქტიკული მუშაობა) და ა.შ. ზემოთაღნიშნული მეთოდებისა და აქტივობების სასწავლო კურსებში გამოყენება მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროფესორ-მასწავლებლებთან გასაუბრების საშუალებით გამოიკვეთა რომ, სწავლის მეთოდები შერჩეული იქნა უშუალოდ სილაბუსის ავტორების მიერ და მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნა სასწავლო კურსების სფეციფიკა

- პროგრამის კურსების სწავლა/სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს; გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც მოერგება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს. მსგავსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე "არგუსის" ან კორპორატიული მეილის საშუალებით. ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში

განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o სილაბუსები; o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების , დამტკიცების , მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; o არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა : „ არგუსი “ www.argus.iliauni.edu.ge ; o კურსების შეფასების კითხვარი; o სერვისების კვლევის კითხვარი o ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი პროცედურების შესაბამისად; სტუდენტთა შეფასების მეთოდები მოცემულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფენ ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აწსუ–ს რეგულაციების შესაბამისად. კერძოდ, სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ქულათა ფიქსირებული სკალა ქულათა მაქსიმუმით – 100. სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია და მისი ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას.

- პროგრამის შემადგენელი კურსების შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების გამჭვირვალეობას უზრინველყოფს, ერთი მხრივ სილაბუსები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი ყოველი მათგანი და მეორე მხრივ, ლექტორის მიერ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით სტუდენტთა ინფორმირება. პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი კარგად იცნობენ შეფასების თანამედროვე მეთოდებს, მათ ასევე კარგად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი საგნების შეფასების კრიტერიუმების სისტემა, ე.წ. Grading Rubric და ადეკვატურად იყენებენ მას სწავლების პროცესში.

- ამასთანავე, სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინიც კარგად იცნობენ შეფასების სისტემას; პირველივე შეხვედრისას დეტალურად ეცნობიან სილაბუსებს და თვითოეულ შეფასებამდე განიხილავენ შეფასების კრიტერიუმებს. სტუდენტები

ასევე იღებენ უკუკავშირს პროფესორისგან ძირითადად საკონსულტაციო საათების დროს. როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, კონკრეტული შეფასების შემდგომ მეცადინეობზე ხდება შედეგების განხილვა.

- აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფისსისტემა : „ არგუსი “ www.argus.iliauni.edu.ge ;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ https://eqe.ge/res/docs/201811301658573.pdf
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა / პროფესიულ სტუდენტთა შეფასების , კრედიტების მინიჭების , რეიტინგისა და დამატებით / განმეორებით კურსებზე / კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- Erasmus + CBHE პროექტები: 1 . სწავლების ახალი გარემოსთვის შეფასების ინსტრუმენტები უმაღლესი სასწავლებლებისთვის (ASSET) • 2. “აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლა-სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში” (INTEGRITY). • TSDC სამოქმედო გეგმა; • კურს ების შეფასების კითხვარი.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეგვიძლია შევაფასოთ, რომ სტუდენტი იღებს,სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე , აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში. აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობა. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით. ხელსუწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელსუწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში. საბაკალავრო პროგრამისსტუდენტს აქვს შესაძლებლობა პერიოდულობით მიიღოს სასურველი და საჭიროი ნფორმაცია საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი პირებისთვის უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც დაინტერესებული პირები იღებენ დეტალური ნფორმაციას სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, „არგუსის“ საშუალებით მთელი წლის განმავლობაში ჰქონდეთ კონტაქტი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიურიმ იღწევების გასაუმჯობესებლად.

- საზაფხულო და ზამთრის სკოლები- ფაკულტეტები/სკოლები სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს აწვდიან ინფორმაციას წარმატებული (მაღალქულიანი) სტუდენტების და სტიპენდიანტების შესახებ. დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს მათ შეხვედრებს ფაკულტეტის/სკოლის დეკანებთან, რექტორთან და მისმოადგილესთან საზაფხულო და ზამთრის სკოლების ფორმატში. შეხვედრებისა სხდება სხვადასხვა აქტუალურ თემებზე მსჯელობა და საჯარო დისკუსიის მოწყობა, ღია ლექციების და სემინარების ჩატარება და ჯგუფური მუშაობა.

- სასწავლო წლის დასაწყისში პირველი სასწავლო წლის და მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტებისათვის დეპარტამენტი აწყობს სტუდენტური ცხოვრების ფორუმს, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ სტუდენტური ცხოვრების ისეთ კომპონენტებს, როგორებიცა რის საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა, საკლუბო ცხოვრება და მასში მონაწილეობა და სხვა. ფორუმზე მენტორის როლსა სრულებენ უკვე გამოცდილი სტუდენტები, სხვადასხვა კლუბების წარმომადგენლები, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ დამწყებ სტუდენტებს.

- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტი სთავაზობს სერვისს, მათ შორისბ იბლიოთეკა, მათთვის ხელსაყრელ ფორმატში ამზადებს სასწავლო მასალებს. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობას და ERASMUS+ ფარგლებში ახორციელებს მობილობას (სტუდენტების და პროფესორების გაცვლა) სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსტეტის ვებ - გვერდი www.iliauni.edu.ge
- არგუსი - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა : http://argus.iliauni.edu.ge/
- უნივერსტეტის ადმინისტრაციული თანამშრომლების პირადი ფაილები , რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსტეტის ადამიანური რესურსების მართვის ს ამსახურში;
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება;
- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები;
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებ - გვერდი: http://writingcentre.iliauni.edu.ge/
- საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში ;
- დასაქმების ფორუმები ;
- სერვისების შეფასების კითხვარი (სტუდენტები)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ N/A
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ N/A
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი

ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის. აკადემიური/მოწვეული პერსონალის უმრავლესობის საერთაშორისო გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტისათვის როგორც დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ისე სფეროსთვის რელევანტური უნარების გამომუშავებას. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის მანძილზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია - მათი პრაქტიკული გამოცდილებით.

- ფაკულტეტს აქვს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველსემესტრული დატვირთვის სქემა, რომელშიც ასახულია მათი სასწავლო დატვირთვა. სასწავლო კურსების სემესტრული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია მოწვეული და აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები დატვირთვასთან დაკავშირებით. შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში მათი დატვირთვის გადანაწილებისას დაცულია ბალანსი ზემოაღნიშნული ვალდებულებების გათვალისწინებით.

- აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შემუშვებული წესის მიხედვით, ფაკულტეტს აქვს განსაზღვრული საკუთარი აკადემიური პერსონალის კვლევითი და სასწავლო საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც ადგენს პერსონალის ყოველწლიურ ვალდებულებებს კვლევით და სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით.

- პროგრამისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის მექანიზმი თავის მხრივ ეყრდნობა სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც, ითვალისწინებს პროგრამაზე სტუდენტთა არსებულ და მისაღებ რაოდენობას, პროგრამის სპეციფიკას და ადგენს სამიზნე ნიშნულებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებში, სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის გარდა, გათვალისწინებულია ჩართულობა პროგრამის შექმნასა და განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირება და მხარდაჭერა. აღნიშნული საქმიანობა განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი წესებით (პროგრამის შექმნისა და განვითარების, პროგრამის განხორციელების შეფასების და პროგრამების შეფასების კრიტერიუმების შესახებ) აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებით.

- საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის წამყვანი პროფესიონალი შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებით. ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში, რაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შეფასების წესში და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს

გავლილი აქვს ტრენინგი პროგრამის შეფასების საკითხებზე და მიღებული აქვს ABET ფონდის სერტიფიკატი. ○ პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი. ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და დამხმარე პერსონალს წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, ტექნოლოგიების სკოლის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, კურიკულუმის ექსპერტი, კოორდინატორი. სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის და მიმდინარეობის შესახებ კონსულტაციას უწევს და შესაბამის რეკომენდაციებსა თუ რჩევებს აძლევს პროგრამის კოორდინატორი. ამასთან, სტუდენტთა კონსულტაციას ახორციელებენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები - კურიკულუმის ექსპერტები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავენ სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და ხელს უწყობენ თითოეულ მათგანს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და მოქმედი ხელშეკრულებები. ○ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა ; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები; ○ სწავლებაში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ○ პროგრამის განხორციელების შეფასების წესი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისკრიტერიუმები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) N/A
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
○ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ○ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უსდ-ში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. კერძოდ, აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - სწავლების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის. ○ აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში არსებული პერსონალის მართვის სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, უნივერსიტეტში შეიქმნა „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან, აგრეთვე პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით ტრენინგ მოდულების შექმნასა და დანერგვას აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, აკადემიური პერსონალმა, რომელიც ჩართულია ათასწლეულის გამოწვევის მე-2 კომპაქტის ფარგლებში სან დიეგოს პროგრამების განხორციელებაში, მონაწილეობა მიიღო სან დიეგოს მიერ განხორციელებულ ტრენინგებში პროგრამით გათვალისწინებული

კომპონენტების სწავლების და შეფასების შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს ABET-ის მიერ ორაგანიზებულ სიმპოზიუმსა და ტრენინგებში. კერძოდ, 2018-2019 წელს აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლის ხელმძვანელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, ABET კომიტეტის თავჯდომარემ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა.

- უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების კვლევები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით. აღნიშნული კვლევების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დაედო საფუძვლად უნივერსიტეტში დეგეგმილიყო სწავლა-სწავლებასთან და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული პროფესიული გადამზადების მოდულის და ამ მიზნით ისეთი რესურსების გამოყენება, როგორც არის Erasmus + პროექტები.

- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტურქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები. სამსახურები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით. სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური შეიმუშავებს და გეგმავს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე მიმართულ უნივერსიტეტის შიდა საქმიანობებს. სამსახური მართავს და პერიოდულობით აახლებს შესაბამის პროექტების მონაცემთა ბაზას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური.

- უნივერსიტეტში მოქმედებს რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ხდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორკშოპებში მონაწილეობისთვის.

- განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევისა და სწავლების მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას; განვითარების სამსახური სთავაზობს მხარდამჭერ სერვისებს: დახმარებას საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირებას; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარებას; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავებას; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზებას; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას; ინფორმაციის გავრცელებას საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ. კვლევასთან დაკავშირებული სერვისის გაუმჯობესების მიდგომები და პრინციპები ასახულია უნივერსიტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში.

○ ასევე, პროფესიული განვითარების მიზნით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, უნივერსიტეტი სთავაზობს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში, თემატურ ტრენინგებს, ლექციებსა და კონფერენციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური თანამდებობის მქონე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ○ სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ○ პერსონალის კვლევა სერვისებთან დაკავშირებით; ○ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და მოქმედი ხელშეკრულებები ○ გაცვლითი კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამა სარგებლობს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მეორე კომპაქტით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინვესტიციით შექმნილი უახლესი ლაბორატორიებით და თანამედროვე აუდიტორიებით. ტექნოლოგიების სკოლის უახლესი ლაბორატორიები სტრუქტურული ინჟინერიის, ჰიდრავლიკური ინჟინერიის და გეოტექნიკური ინჟინერიისთვის, სასწავლო და კვლევის მიზნებისთვის, სრულად აღჭურვილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, ცალკეული სასწავლო კომპონენტების ფარგლებში გამოიყენება უნივერსიტეტში არსებული სხვა სივრცეები და რესურესბიც, მაგალითად, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები. ○ ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკა - ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას. ○ ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს მუდმივად განახლებად წიგნად ფონდს. აღნიშული ფონდი საშუალებას იძლევა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს ამა თუ იმ დარგში მიმდინარე განვითარების უახლესი ტენდენციები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელებას. ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად თავსდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს ახალი რესურსის ხელმისაწვდომობის შესახებ. ○ უნივერისტეტში არსებულ სკოლებთან და ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხდება სასწავლო პროგრამების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის იდენტიფიცირება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს საკითხავი მასალის “რიდერის” დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი. რიდერი მზადდება პროფესორის, ან კურსის ხელმძღვანელის მომართვის საფუძვლეზე, საავტორო უფლებების სრული დაცვით. აღნიშნული რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ საძიებო კატალოგში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსტეტის კვლევის ფონდსა და ილიას სახელმწიფო უნივერსტეტს შორის დადებული ხელშეკრულება ○ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი" ○ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები. ○ ელექტრონული სწავლების პორტალი. ○ ხელშეკრულება Turnitin სერვისის ლიცენზიის გადაცემის შესახებ; ○ ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან; ○ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის დამადასტურებელი დოკუმენტები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად მიღწევადია. უსდ-მიერ წამორდგენილი პროგრამის ბიუჯეტის ფაილში ჩანს პროგრამის წლიური ხარჯი, რომელიც გათვლიილა სტუდენტების კონტიგენტის ოპტიმალურ რაოდენობაზეა, პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ ხარჯებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი. ○ პროგრამის ბიუჯეტი. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელი და სწავლებაში ჩართული პერსონალი, უნივერსტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ხარისხზე. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა არის მონაწილეობითობაზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც იყენებს საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს ხარისხიანი სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით. პროგრამის გუნდი გეგმავს შეფასების პერიოდულობას, უზრუნველყოფს შეფასებას და მიღებული მონაცემების საფუძველზე შეუმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად, პროგრამის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება სამიზნე ნიშნულები და განსაზღვრული ინდიკატორები, რაც აღწერილია პროგრამის რუკაში, სამიზნე ნიშნულების დოკუმენტსა და სწავლილს შედეგების შეფასების გეგმაში. პროგრამების და მისი კომპონენტების შეფასების მიზნით, გამოიყენება არგუსის ელექტრონულ სისტემაში არსებული ინტეგრირებული პროგრამის პაკეტი, რათა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღოს უნივერსტეტის პროგრამებში ჩართულმა სტუდენტების უმრავლესობამ. შეფასების შედეგები ხელმისაწვდომი ხდება უნივერსეტეტის ადმინისტრაციისთვის და ასევე, სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი პირებისათვის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი). ეს იქნება ეფექტური საშუალება, რათა გაუმჯობესდეს კომპონენტების ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების ანგარიშები.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამის რუკა; სამიზნე ნიშნულები; სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.
- ელექტრონული სისტემა არგუსი, რომელიც უზრუნველყოფს არჩევანის გარემოს
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- კვლევის ინსტრუმენტები
- საერთაშორისო ექსპერტებისა (ABET) და პარტნიორების (SDSU) უკუკავშირისა და რეკომენდაციების ამსახველი ანგარიში.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე. პროგრამის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებულია გარე თვითშეფასების შედეგები. საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“-ის გარე ექსპერტიზა განახორციელა: • ფაკულტეტზე არსებული მრჩეველთა საბჭო (რომელიც დაკომპლექტებული სამოქალაქო ინჟინერიის დარგის კვალიფიციური და წამყვანი ექსპერტებისაგან). შეფასება განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების შესახებ და ასევე პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. • საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან თავსებადობის დადგენის მიზნით, განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერისტეტის (SDSU) სამოქალაქო, მშენებლობისა და გარემოსდაცვითი ინჟინერიის დეპარტარამენტის ხელმძღვანელისა და ABET-ის ფონდის ექსპერტის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მრჩეველთა საბჭოს დებულება; ○ მრჩეველთა საბჭოს ფოკუს ჯგუფის ანაგარიში; ○ საერთაშორისო ექსპერტებისა (ABET) და პარტნიორების (SDSU) უკუკავშირისა და რეკომენდაციების ამსახველი ანგარიში. ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს „პირდაპირ“ და „არაპირდაპირ“ შეფასებას. არაპირდაპირი შეფასება მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგების ანალიზს; პირდაპირი შეფასებისთვის გამოყენებულია პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ფარგლებში გამხორციელებული სტუდენტთა შეფასებები (მაგ: საბოლოო გამოცდა (comprehensive knowledge exam), პროექტები, პრაქტიკის კომპონენტი და სხვა). პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების ციკლი მოცემულია პროგრამის შეფასების ვადებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ABET-ის პროგრამის კოორდინატორი ჩართულია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის პროცესში, რათა უზრუნველოს მისი თანხვედრა ABET-ის აკრედიტაციის მოთხოვნებთან. ○ უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდა ხარისხის კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე აქტორების მონაწილეობა შეფასების, მათ შორის პროგრამების შეფასების პროცესებში, სტრუქტურული ერთეულების მიერ შეფასების შედეგების გამოყენება საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის და უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულება. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები. ○ პროგრამის რუკა; სამიზნე ნიშნულები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვახტანგ ბალავაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ალექსანდრე წაქაძე

გიორგი მეშველიანი